საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში მდებარე სასაწყობე მეურნეობის ,,ბაზა 2'' შენობის გამაგრება-რეკონსტრუქციის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსის საშუალებით შესყიდვის შესახებ
საკონკურსო კომისიის სხდომის
ოქმი № 02

ქ. თბილისი „24" „სექტემბერი" 2013 წ.

საკონკურსო კომისიის წევრები:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე _ გ. ჯავახიშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები:

ნ. მჭედლიშვილი, ს. ბირკაძე, ნ. ნაროზაშვილი, გ. გეჯაძე, გ. ლიპარტია

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი: მ. სოხაძე

დღის წესრიგი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში მდებარე სასაწყობე მეურნეობის ,,ბაზა 2'' შენობის გამაგრება-რეკონსტრუქციის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2013 წლის 09 სექტემბერს (19:00) გამოცხადებულ №936 კონკურსში კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ 2013 წლის 16 სექტემბერს 16 საათამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა ორმა პირმა შემდეგ თანხაზე: შპს ,,მეგავაჯ. ჯი'' – 11700 (თერთმეტიათას შვიდასი) ლარი და შპს ,,საქბინრემპროექტი''-13400 (ცამეტიათას ოთხასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს:

საკონკურსო წინადადებების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ შპს ,,მეგავაჯ. ჯი''-მ საკონკურსო წინადადებით არ წარმოადგინა ერთიანი პრეზენტაცია, რომელიც უნდა შედგებოდეს კონცეფციისა და მისი განმარტებისაგან. წარმოდგენილია, მხოლოდ თბილისში, მუხიანის დასახლებაში მდებარე სასაწყობე მეურნეობის ,,ბაზა 2'' შენობის ნახაზი. ასევე, სატენდერო კომისიამ აღნიშნა, რომ შპს ,,საქბინრემპროექტი''-ს მიერ წარმოდგენილია პრეზენტაცია, რომელიც შედგება კონცეფციისა და ესკიზებისაგან, რომელიც არ არის შესაბამისობაში შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული კონკურსის პირობებთან, კერძოდ, შენობის გამაგრება-რეკონსტრუქციის მოთხოვნებთან. ამასთან, შპს ,,საქბინრემპროექტი''-ს მიერ წარმოდგენილი ესკიზი არ შეესებამება დოკუმენტაციით გათვალისწინებული შენობის გამაგრება-რეკონსტრუქციის მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიის განცხადებით, არც ერთი კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ შეესაბემება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული კონკურსის მოთხოვნებს და მიზანშეწონილია, კონკურსში მონაწილე კონკურსანტების საკონკურსო წინადადებები იქნას დისკვალიფიცირებული და აღნიშნული კონკურსი დასრულდეს უარყოფითი შედეგით.

საკონკურსო კომისიის წევრები დაეთანხმნენ ზემოაღნიშნულს.

აქვე, სატენდერო კომისიამ აღნიშნა, რომ შპს ,,მეგავატ.ჯი"-ს და შპს ,,საქბინრემპროექტი''-ს მიერ წარმოდგენილ საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტებში მითითებული არ არის შემსყიდველი

ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი, მაგრამ შპს ,,მეგავატ.ჯი"-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში მითითებულია შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოცხადებული კონკურსის ნომერი, ხოლო შპს ,,საქბინრემპროექტი''-ს მიერ წარმოდგენილ საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში კი შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოცხადებული კონკურსის ნომერი და კონკურსის სახელწოდება.

დაადგინეს:

1. შპს ,,მეგავატ.ჯი"-ს და შპს ,,საქბინრემპროექტი''-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები არ შეესაბამება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული კონკურსის მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოხდეს აღნიშნული ორგანიზაციების დისკვალიფიკაცია და დაუყოვნებლივ ეცნობოთ კონკურსანტებს.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში მდებარე სასაწყობე მეურნეობის ,,ბაზა 2'' შენობის გამაგრება-რეკონსტრუქციის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2013 წლის 09 სექტემბერს (19:00) გამოცხადებული კონკურსი დასრულდებულ იქნას უარყოფითი შედეგით.

სხდომის თავმჯდომარე	-	**გ. ჯავახიშვილი**
საკონკურსო კომისიის წევრი	-	**ნ. მჭედლიშვილი**
საკონკურსო კომისიის წევრი	-	**გ. გეჯაძე**
საკონკურსო კომისიის წევრი	-	**ს. ბირკაძე**
საკონკურსო კომისიის წევრი	-	**ნ. ნაროზაშვილი**
საკონკურსო კომისიის წევრი	-	**გ. ლიპარტია**
სხდომის მდივანი	-	**მ. სოხაძე**

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

2013 წლის 24 სექტემბერი

საკონკურსო კომისიის სხდომაზე დამსწრე საკონკურსო კომისიისა და საკონკურსო კომისიის აპარატის ყველა წევრი ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, მიერ ქ. **თბილისში, მუხიანის დასახლებაში მდებარე სასაწყობე მეურნეობის „ბაზა 2" შენობის გამაგრება-რეკონსტრუქციის საპროექტო მომსახურების** სახელმწიფო შესყიდვის კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2013 წლის 09 სექტემბერს (19:00) გამოცხადებულ №936 კონკურსში ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

სხდომის თავმჯდომარე _____ გ. ჯავახიშვილი

საკონკურსო კომისიის წევრი _____ ნ. მჭედლიშვილი

საკონკურსო კომისიის წევრი _____ გ. გეჯაძე

საკონკურსო კომისიის წევრი _____ ს. ბირკაძე

საკონკურსო კომისიის წევრი _____ ნ. ნაროზაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრი _____ გ. ლიპარტია

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი _____ მ. სოხაძე

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

N 02-03/72406
24/09/2013

72406-02-03-2-201309241109

შპს „საქბინრემპროექტი“-ს

გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკონკურსო კომისიამ განიხილა თქვენს ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში მდებარე სასაწყობე მეურნეობის „ბაზა 2'' შენობის გამაგრება-რეკონსტრუქციის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსში წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და დაადგინა, რომ არ შეესაბამება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული კონკურსის მოთხოვნებს. თქვენს მიერ წარმოდგენილია პრეზენტაცია (კონცეფცია და ესკიზები), რომელიც არ არის შესაბამისობაში შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული კონკურსის პირობებთან, კერძოდ, შენობის გამაგრება-რეკონსტრუქციის მოთხოვნებთან. ამასთან, თქვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზი არ შეესაბამება დოკუმენტაციით გათვალისწინებული შენობის გამაგრება-რეკონსტრუქციის მოთხოვნებს.

გიორგი ჯავახიშვილი

მინისტრის მოადგილე

ქ.თბილისი, 0114, ვ. გორგასლის ქ. №16, ტელ.:2261412, ფაქსი: 2262409,ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 2261412, Fax:2262409. E-mail: info@mof.ge

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

N 02-03/72402
24/09/2013

72402-02-03-2-201309241107

შპს „მეგავატ.ჯი“-ს

გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკონკურსო კომისიამ განიხილა თქვენს ქ. თბილისში, მუხიანის დასახლებაში მდებარე სასაწყობე მეურნეობის ,,ბაზა 2'' შენობის გამაგრება-რეკონსტრუქციის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსში წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და დაადგინა, რომ არ შეესაბამება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული კონკურსის მოთხოვნებს. კერძოდ, თქვენს მიერ საკონკურსო წინადადებით არ იქნა წარმოდგენილი ერთიანი პრეზენტაცია, რომელიც უნდა შედგებოდეს კონცეფციისა და მისი განმარტებისაგან. თქვენს მიერ წარმოდგენილ იქნა მხოლოდ თბილისში, მუხიანის დასახლებაში მდებარე სასაწყობე მეურნეობის ,,ბაზა 2'' შენობის ნახაზი.

გიორგი ჯავახიშვილი

მინისტრის მოადგილე

ქ.თბილისი, 0114, ვ. გორგასლის ქ. №16, ტელ.:2261412, ფაქსი: 2262409,ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 2261412, Fax:2262409. E-mail: info@mof.ge